



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N02

ქ. მარნეული

14.03.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, ტარიელ მამედოვი, რიჩარდ გიგანი, როვშან ისკანდაროვი, ზესიკ გელენიძე, ვასილ ხახულაშვილი, თეონა ფარჯიანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი, მაია გელაშვილი, ადილ გურბანოვი, ომარ ირიშოვი, მახარატ ალახვერდიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, გიუნაშ რიზაგულიევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, რამალ ახმედოვი, ნარგიზა ალიევა, მეხტი ასკეროვი, მარინა პეტროვა.

არ ესწრებოდა:

ლაშა ქველაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ანარ პირიევი, დავით ქიმაძე.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი კენან ომაროვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, ამავე სამსახურის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი მამუკა შუბითიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი გიორგი მეურმიშვილი, ამავე სამსახურის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი დავით აროშიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ბექა აბდელანი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსი ია ესეზუა, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და მერიის სამსახურების სპეციალისტები. დამსწრეთა სია თან ერთვის.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.
3. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის N17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების წლიური გეგმის დამტკიცების თაობაზე.
6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების შესახებ.
7. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
8. სოციალური საკითხები.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
10. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 10 მარტის N32-322206964 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N04. 14.03.2022 წ.).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 25 თებერვლის N32-3222056171 და 2022 წლის 01 მარტის N32-322206018 წერილებით წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ანგარიში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების 2021 წლის ანგარიში და უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებს. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შედეგების მიხედვით შეფასდეს დადებითად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N06. 14.03.2022 წ.).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 02 მარტის N32-3222061130 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის შეთანხმების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №12 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N07. 14.03.2022 წ.).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 18 თებერვლის N32-322204922 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების 2022 წლის 26 იანვრის N07-3222026314 მოხსენებითი ბარათი, „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N08. 14.03.2022 წ.).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 28 თებერვლის N32-322205975 წერილით შემოსული საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 07 ივლისის „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ N319 დადგენილების საფუძველზე, დასამტკიცებელი მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მომსახურეთა უწყვეტი სწავლების 2022 წლის სასწავლო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N09. 14.03.2022 წ.).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ადილ ალიევმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 11 მარტის N32-322207016 წერილით მოსაწონებლად წარმოდგენილი რეგიონალური განვითარების ფონდიდან მარნეულის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N10. 14.03.2022 წ.).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 09 მარტის N32-322206848 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 11 მარტის N9 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N05. 14.03.2022 წ.).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების უფროსმა ია ესებუამ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N12. 14.03.02.2022 წ.).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N11. 14.03.2022 წ.).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე